

საქართველოს შრომის კოდექსში

დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს შრომის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N23,

19.06.2006, მუხ. 183) 36-ე მუხლის მე-2 ნაწილს დამატოს შემდეგი შინაარსის „ვ“¹ ქვეპუნქტი:

„ვ¹) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში მოთავსება, რომლის დროსაც შეუძლებელი ხდება მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება, მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა წელიწადში;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2009 წლის 28 დეკემბერი.

N2508–რს